



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№3, 2015



16 - 19 October 2015
carpe diem
დაიჭირე წამი
Tbilisi, Georgia





კონკურსები

2015 წლის III კვარტალში ეროვნულმა კინოცენტრმა გამოაცხადა კონკურსები შემდეგ კატეგორიებში:

1. 2015 წლის ნაგვისტოს გამოცხადდა კონკურსი კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების დაფინანსების მიზნით სცენარისტების, რეჟისორების და პროდიუსერებისგან შემდგარი გუნდებისთვის. (საკონკურსო ფონდი 60 000 ლარი, თითო პროექტი დაფინანსდება 10 000 ლარით), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 19 ოქტომბერი.
2. 2015 წლის 25 სექტემბერს გამოცხადდა კრეატიული სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსი. (საკონკურსო ფონდი 50 000 ლარი, თითო პროექტი დაფინანსდება 10 000 ლარით), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 30 ოქტომბერი.

3. 2015 წლის 6 ივლისს გამოცხადდა კონკურსი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით. (საკონკურსო ფონდი 1 500 000 ლარი, თითო პროექტი დაფინანსდება 500 000 ლარით), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 10 ნოემბერი.
4. 2015 წლის 9 სექტემბერს გამოცხადდა კონკურსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების დაფინანსების მიზნით. (საკონკურსო ფონდი 75 000 ლარი, თითო პროექტი დაფინანსდება 15 000 ლარით), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 10 ნოემბერი.
5. 2015 წლის 5 აგვისტოს გამოცხადდა კონკურსი 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების მიზნით. საკონკურსო ფონდი 75 000 ლარი, თითო პროექტი დაფინანსდება 15 000 ლარით), პროექტები შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 24 ნოემბერი.
6. 2015 წლის 28 სექტემბერს გამოცხადდა კონკურსი სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით. (საკონკურსო ფონდი 600 000 ლარი, თითო პროექტი დაფინანსდება 300 000 ლარით), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 10 დეკემბერი.
7. 2015 წლის 29 სექტემბერს გამოცხადდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი. (საკონკურსო ფონდი 150 000 ლარი, თითო პროექტი დაფინანსდება 75 000 ლარით), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 2016 წლის 11 იანვარი.

მიმდინარე პროექტები

- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დედე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps productions“, რეჟისორი - მარიამ ხაჭვანი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს ახალი ქართული ფილმი“ დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Polare Film“ დირექტორი - ნანა ექვთიმიშვილი, რეჟისორები - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროს).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქალები რომლებიც ცურავენ“ (პროდიუსერი - შპს „ჯემინი“, დირექტორი - თინათინ ყაჯრიშვილი, რეჟისორი - ანა ბუკია).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - ააიპ „Matchhouse Film“ დირექტორი - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია).

“ანა” - რეჟ. მარგო ზუბაშვილი





“დედე” - რეჟ. მარიამ ხაჭვანი



„თვე როგორც ერთი დღე“ - რეჟ. - რეზო ესაძე

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ვსაუბრობთ ფულზე“ (პროდიუსერი - შპს „ზაზარ ფილმი“ დირექტორი - ზაზა რუსაძე, რეჟისორი - სებასტიან ვინკელსი, ზაზა რუსაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სამი საფეხური“ (პროდიუსერი - შპს „ახალი ქართული ფილმი“ დირექტორის მინდოზილი პირი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - იოსებ ბლიაძე).
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანდრო“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“ დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - თორნიკე გოგრიჭიანი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნიკო“ (პროდიუსერი - შპს „რეფრემ სტუდია“ დირექტორის მინდოზილი პირი - თეა აბაშაძე, რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი).
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანა“ (პროდიუსერი - შპს „ფოკუს პროდაქშენს“ დირექტორი - თამარ თვარაძე, რეჟისორი - მარგალიტა ზუბაშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეთევზე და გოგონა“ (პროდიუსერი - შპს 20 Steps Productions დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი).
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მზის ქალაქი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“ დირექტორი - რატი ონელი, რეჟისორი - რატი ონელი).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პური და სანახაობა“ (საპროდიუსერო კომპანია - აიიპ „სავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზურაბ ინაშვილი, რეჟისორი - ზურაბ ინაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოუსმინე სიჩუმეს“ (საპროდიუსერო კომპანია - აიიპ „ოპიოდოკი“ დირექტორი - ნინო ჯინჭარაძე, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია).

- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რამაზ ჩხიკვაძე“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე „რატი რეხვიაშვილი“, რეჟისორი - რატი რეხვიაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენიერაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორნი“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - ნათია გოგალაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „დევნილი გემი ენგური“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნალი“, რეჟისორი - ვახტანგ ვარაზი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდიო ო“, რეჟისორი - ოთარ შამათაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თვე როგორც ერთი დღე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლაკუმი“, რეჟისორი - რეზო ესაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შიშველი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია 99“ დირექტორი - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - ნინო ბასილია).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძილის გაკვეთილები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს კავკასიური ფილმოდრომი, რეჟისორი - რუსუდან პირველი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ციხის აღსარებები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ზალათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ფრანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი „გიორგი ვასაძე“, რეჟისორ/ანიმატორი - ვლადიმერ სულაქველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ჯინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შსგ „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „არხი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ საქდოკ ფილმი, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARKK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).



BIAFF - ბათუმის საავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი

ბათუმის საავტორო ფილმების მე-10 საერთაშორისო კინოფესტივალი 13-20 სექტემბერს ქალაქ ბათუმში ჩატარდა. უკვე რამდენიმე წელია ეროვნული კინოცენტრი ტრადიციულად ბათუმის კინოფესტივალის მხარდამჭერია.

კინოფესტივალზე წარმოდგენილ იქნა 40 სრულმეტრაჟიანი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი 30 ქვეყნიდან და 40 მოკლემეტრაჟიანი ფილმი. მოწვეული იყვნენ სტუმრები ევროპიდან, აშშ-დან, პოსტ-საბჭოთა სივრციდან და აზიიდან.

საპატიო სტუმრების სტატუსით ფესტივალს დაესწრნენ ნასტასია კინსკი, ოთარ იოსელიანი, ნიკი კარიმი, ალექსანდრე მინდაძე, მაია კომოროვსკა, ზელიმირ ზილნიკი, ლანა ლოლობერიძე, ბაკურ ბაკურაძე...

ფესტივალზე გაიცა შემდეგი პრიზები:

საერთაშორისო კონკურსის სექცია :

- გრანპრი - „მმა დეჟანი“, ბაკურ ბაკურაძე, რუსეთი / სერბეთი, 2015წ. 113 წთ.
- საუკეთესო რეჟისურა - შარუნას ბარტასი ფილმისთვის „მშვიდობა მხოლოდ გვესიზმრება“, ლიტვა / საფრანგეთი / რუსეთი, 2015წ. 107 წთ.
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - იოაჰიმ ფელსტრუპი ფილმში „პაწაწინა“, ოლე ქრისტიან მადსენი, დანია / ხორვატია / შვედეთი / არგენტინა, 2014წ. 107 წთ.
- საუკეთესო მსახიობი ქალი - ქალ მსახიობთა ანსამბლი ფილმში „მუსტანგი“, დენიზ გამზე ერგიუვენი, საფრანგეთი / გერმანია / თურქეთი / კატარი, 2015წ. 97 წთ.
- ჟიურის სპეციალური პრიზი - „მუსტანგი“, დენიზ გამზე ერგიუვენი, საფრანგეთი / გერმანია / თურქეთი / კატარი, 2015წ. 97 წთ.

დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფილმების სექცია:

- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - „ორმაგი უცხოები“, უგის ოლტე, ლატვია/საქართველო, 2015 წ. 60 წთ.
- ჟიურის სპეციალური პრიზი - „კარტელის მიწა“, მეთიუ ჰეინმანი, აშშ/მექსიკა, 2015 წ. 98 წთ. მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექცია:



- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - „წიწილა“, უნა გუნიაკი, გერმანია/ ხორვატია, 2014 წ. 15 წთ.
- ჟიურის სპეციალური პრიზი - „ადამი“, იულია ჰანჩარი, ბელარუსია, 2014წ. და „მზადება“, გიორგი წილოსანი, საქართველო, 2015 წ.

პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცათ:

- ნასტასია კინსკი (გერმანია)
- ლანა ლოდობერიძე (საქართველო)
- ბაადურ წულაძე (საქართველო)

ასევე, ფესტივალის ფარგლებში 15 - 19 სექტემბერს „ალტერნატიული ტალღა 2015“ ჩატარდა. კინემატოგრაფისტებს ჰქონდათ საშუალება ემუშავათ ჯგუფურად ქრად ფანდინგის, ონლაინ გაყიდვების, დრამატურგიის განვითარების, დისტრიბუციის და ახალი ტექნოლოგიების ექსპერტებთან ერთად. მოწვეული სპეციალისტები შეეცადნენ გამოევილინათ პროექტების განვითარების ყველა შესაძლო პოტენციალი.

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი ნინო ქათამაძემ ჯგუფ „ინსაითთან“ ერთად მუსიკალური პერფორმანსით დახურა.

ნიქოზის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი

1-6 სექტემბერს ცხინვალის მოსაზღვრე სოფელ ნიქოზში უკვე მეხუთედ გაიმართა ანიმაციური ფილმების ფესტივალი, რომელმაც ანიმაციის სამყაროში უკვე დიდი პოპულარობა მოიპოვა. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ ფესტივალის მეგობრები გახდნენ ისეთი ცნობილი ანიმაციური ფესტივალები, როგორებიცაა: დრეზდენის, ანესის, სუზდალის, ლაიფციგის ფესტივალები, ასევე სხვადასხვა ანიმაციური სტუდიები და ევროპის კინოაკადემია.

წელს, ფესტივალის სტუმრები იყვნენ გამოჩენილი ანიმატორები და ანიმაციის ცნობილი სკოლის წარმომადგენლები გერმანიიდან, საფრანგეთიდან, კერძოდ, ანესის ანიმაციური ფილმების ფესტივალიდან, იტალიიდან, კანადიდან, ბელორუსიიდან, პოლონეთიდან და რუსეთიდან.

ფესტივალის პროგრამაში წარმოდგენილ იქნა მსოფლიოს ანიმაციურ ფესტივალებზე გამარჯვებული ფილმები, რომელთა ნაწილიც ავტორებმა თავად წარადგინეს. ამასგარდა, ფესტივალის ფარგლებში მოეწყო საბავშვო ანიმაციური ფილმების ჩვენება, ჩრდილების თეატრის წარმოდგენა და თანამედროვე მუსიკის საღამოები.



• **დათა ფირცხალავა ლოკარნოს კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა**

დათა ფირცხალავა ლოკარნოს კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა. ქართველი რეჟისორის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მამა“ ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში Pardi di domani იყო წარდგენილი.

„მამა“ ეროვნული კინოცენტრის გამარჯვებული პროექტია, რომლის გადაღებაში თიბისი ბანკმა ფინანსური მონაწილეობა მიიღო და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ფილმწარმოებაში სახელმწიფო სუბსიდიასთან ერთად კერძო ბიზნესიც ჩაერთო. ფილმის პრემიერა 1 ივლისს კინოთეატრ „ამირანში“ შედგა.

ლოკარნოს კინოფესტივალი შვეიცარიის ქალაქ ლოკარნოში 1946 წლიდან იმართება და ცნობილია როგორც აღმოჩენების ფესტივალი, რადგან მრავალი კინორეჟისორის თუ მსახიობის წარმატებული კარიერა სწორედ ლოკარნოში დაიწყო.

• **ლევან თუთბერიძის „მოირა“ სან სებასტიანის კინოფესტივალზე დააჯილდოვეს**

ლევან თუთბერიძის „მოირა“ სან სებასტიანის კინოფესტივალზე დააჯილდოვეს. ფილმი კონკურსის ძირითად პროგრამაში იღებდა მონაწილეობას, დაჯილდოვების ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე კი ცნობილი გახდა, რომ „მოირას“ სპეციალური პრიზი - Signis Award გადაეცა.

სან-სებასტიანის კინოფესტივალი ა-კლასის ფესტივალია, რომელიც ესპანეთში ტარდება და 1953 წლიდან მსოფლიოში ერთ-ერთ პრესტიჟულ და მნიშვნელოვან კინოფესტივალად ითვლება.

• **თომა ჩაგელიშვილი სარაევოს კინოფესტივალზე IDFA AWARD - ით დააჯილდოვდა**

თომა ჩაგელიშვილი სარაევოს კინოფესტივალზე IDFA Award - ით დააჯილდოვდა. ჯილდო მის პროექტს „ბერლინის მცირე კედელი“ გადაეცა, რომელიც ფესტივალის ფარგლებში სექციაში Docu



Rough Cut Boutique იღებდა მონაწილეობას. გამარჯვების შემდეგ, თომა ჩაგელიშვილის პროექტი ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების ფესტივალის მარკეტზეა მიწვეული, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ფესტივალად არის აღიარებული.

სარაევოს კინოფესტივალზე საქართველო ტრადიციულად მრავალ სექციაში იყო წარმოდგენილი. ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მოხვდა დათა ფირცხალავას მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მამა“. CineLink კოპროდუქციის ბაზრობაზე კი 3 ქართული პროექტი წარადგინეს - თინათინ ყაჯრიშვილის „მანჯი“, რეზო გიგინეიშვილის „მძევლები“ (საქართველოს და რუსეთის კოპროდუქცია) და იოსებ ბლიაძის „ოთარის სიკვდილი“ (საქართველოს და გერმანიის კოპროდუქცია).

ასევე, 15-დან 20 აგვისტოს ჩათვლით, სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ორგანიზებულ სექციაში „ახალგაზრდა ტალანტების პლატფორმა“ მონაწილეობის მისაღებად, საქართველოდან გაემგზავრნენ ქართველი რეჟისორები- კონსტანტინე კალანდაძე და შორენა თევზაძე. კინოფესტივალის დახურვამდე ერთი დღით ადრე კი მოეწყო პანელ დისკუსია სახელწოდებით - “Public funding for coproductions: cooperating better across the borders in the borderless digital world”, რომელშიც თამარ ტატიშვილი იღებდა მონაწილეობას.



• საქართველო კინოშოკის კინოფესტივალის ფოკუსში

კინოშოკის კინოფესტივალის ფოკუსში წელს საქართველო მოექცა. ფესტივალი 13 – 20 სექტემბერს ანაპაში ჩატარდა. ერთადერთი ქართული ფილმი, რომელიც საკონკურსო პროგრამაში მონაწილეობდა იყო ლევან თუთბერიძის „ცხრა მთას იქით.“ ფილმში შესრულებული როლისთვის ჟიურიმ ეკა მოლოდინაშვილი საუკეთესო მსახიობ ქალად აღიარა. ასევე, ჟიურის სიმპათიის სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ლევან კოდუაშვილის ფილმი „შემთხვევითი პაემნები“. ამასგარდა, ფესტივალის ფარგლებში მოეწყო ქართული ფილმების რეტროსპექტივა. ნაჩვენები იყო შემდეგი ფილმები:

- „ყველა წავიდა“ - რეჟისორი გიორგი ფარაჯანოვი
- „ნეტავი იქ თეატრი არის?!“ - რეჟისორი ნანა ჯანელიძე
- „მანდარინები“ - რეჟისორი ზაზა ურუშაძე
- „პატარძლები“ - რეჟისორი თინათინ ყაჯრიშვილი
- „შემთხვევითი პაემნები“ - რეჟისორი ლევან კოდუაშვილი

ასევე სექციაში „Лента памяти“ გაიხსენეს ცნობილი რეჟისორი რეზო ჩხეიძე და მისი ფილმი „ჩვენი ეზო“.

საერთაშორისო კინოფესტივალი „კინოშოკი“ ანაპაში 1992 წლიდან ტარდება და ამ პერიოდის განმავლობაში მან პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალის სახელის მოპოვება შეძლო.

• **სამი ქართული პროექტი ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალზე**

10 - 18 ივლისს, უკრაინის ქალაქ ოდესაში გაიმართა ოდესის საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის ფარგლებშიც მოეწყო პანელ დისკუსია რეგიონალური კინოინდუსტრიის შესახებ. 15 ივლისს დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ეროვნული კინოცენტრის ექსპორტისა და დისტრიბუციის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით ვაშაძემ. 16 ივლისს კი ფესტივალზე 3 ქართული პროექტის ჩვენება (Work in Progress) შედგა. ეს პროექტებია : ნინო ბასილიას „ანა“, ვანო ბურდულის „გაყინული შადრევნების წელიწადი“ და რუსუდან პირველის „ძილის გაკვეთილები“.



• **ქართველი ბავშვები ჯიფონის ფესტივალზე იტალიაში**

წელს იტალიის ქალაქ ჯიფონიში უკვე 45-ედ გაიმართა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბავშვო ფესტივალი, რომელზეც 10 ქართველი ბავშვი გაემგზავრა. ქართველი მონაწილეები, ისევე როგორც დანარჩენი 54 ქვეყნის წარმომადგენლები, ფესტივალზე ჟიურის წევრების რანგში იმყოფებოდნენ. ჯიფონიში ქართული დელეგაციის პატივსაცემად მოეწყო ქართული საღამო და ნაჩვენები იქნა ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმები. მსოფლიო ვარსკვლავებთან აუდიენციისთვის ფესტივალის 3500 მონაწილედან რამდენიმე ბავშვი შეარჩიეს, რომელთა შორისაც საქართველოს 5 წარმომადგენელი მოხვდა. დავით ლოლიშვილი შეხვდა Mark Ruffalo-ს, ანი მაჩაიძე - Martin Freeman-ს, თიკა ტაბიძე - Orlando Bloom-ს, ელენე ნაირაშვილი და მარიამ ცაგურიშვილი კი Tom Felton-ს და სერიალ „Glee“-ს ვარსკვლავ Darren Criss-ს. მალევე ქართულ დელეგაციას ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე შეუერთდა, რომელიც მისივე იდეით შექმნილი ახალი საბავშვო პლატფორმის, Giffoni Youth პრეზენტაციას დაესწრო.





„მოირა“ - საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე

ამერიკის კინოაკადემიისთვის წარსადგენად წელს ლევან თუთბერიძის ფილმი „მოირა“ შეირჩა. გადაწყვეტილება 12 სექტემბერს ეროვნული კინოცენტრის მიერ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ კინოთეატრ „ამირანში“ მიიღო. კომისიის წევრები იყვნენ:

- ნანა ჯორჯაძე - რეჟისორი
- ზაზა ურუშაძე - რეჟისორი
- გიორგი ოვაშვილი - რეჟისორი
- ნანა ჯანელიძე - რეჟისორი, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი
- ნატო მურვანიძე - მსახიობი
- ვაჟა გიგაშვილი - მწერალი, სცენარისტი
- ლელა ოჩიაური - კინომცოდნე
- კახა კანდელაკი - კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე
- ნოშრე ჩხაიძე - პროდიუსერი

კომისიის წევრებს არჩევანის გაკეთება ორ ფილმს შორის მოუწიათ. შესარჩევ პროცესში მონაწილეობას „მოირას“ გარდა მოხსენ მახმალბაფის „პრეზიდენტი“ იღებდა.



თანამშრომლობა საფრანგეთთან

8 ივლისს, ჩეხეთში, კარლოვი ვარის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში, პროდიუსერები, კინოპროფესიონალები, კინოფონდების წარმომადგენლები და ექსპერტები შეიკრიბნენ. საუბარი შეეხო საფრანგეთთან კინოს სფეროში თანამშრომლობას. შეხვედრას ესწრებოდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ნანა ჯანელიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ქართული გამოცდილება გაუზიარა. ღონისძიებაზე გაიმართა ფრანგული ფონდის Cinéma du Monde პრეზენტაცია, შემდეგ კი დამსწრე საზოგადოებამ კოპროდუქციის წარმატებული მაგალითების განხილვა დაიწყო. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა, როდესაც კოპროდუქციის წყალობით მრავალი ფესტივალის პრიზიორი ფილმი შეიქმნა, არის გიორგი ოვაშვილის „სიმინდის კუნძული“. ფილმი კარლოვი ვარის შეხვედრაზე, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან კოპროდუქციის სასწავლო მაგალითი, ისე განიხილეს.





ეროვნულმა კინოცენტრმა და თიბისი ბანკმა 6 ახალი ქართული ფილმის პრემიერას უმასპინძლეს

პირველ ივლისს, კინოთეატრ „ამირანში“ 6 ახალი ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პრემიერა შედგა. აქედან 5 მათგანი ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებულია, რომელთა გადაღებაში თიბისი ბანკმა ფინანსური მონაწილეობა მიიღო. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ფილმწარმოებაში სახელმწიფო სუბსიდიასთან ერთად კერძო ბიზნესიც ჩაერთო.

ჩვენების დაწყებამდე საზოგადოებას ერთობლივი ინიციატივა ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა ნანა ჯანელიძემ და თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე მამუკა ხაზარაძემ გააცნეს, რის შემდეგაც ფილმების ჩვენება დაიწყო.

საზოგადოებას საშუალება ჰქონდა ეხილა შემდეგი ახალი ქართული ფილმები:

- ტატო კოტეტიშვილის „ოგასავარა“
- ვახო ჯაჯანიძის „გამოსვლა“
- თორნიკე ბზიავას „მეჩელებე“
- გიორგი წილოსანის „მზადება“
- თამარ შავგულიძის „პირველი დღე“
- დათა ფირცხალავას „მამა“

ყოველი ფილმის დასრულების შემდეგ, სავსე დარბაზი აპლოდისმენტებით ეგებებოდა რეჟისორებს. ბოლოს კი რეჟისორებმა სცენაზე გადარბაცვლეს, სადაც სტუმრებს მათთვის კითხვების დასმის საშუალება მიეცათ.



ზაფხულის კინოსკოლა

ეროვნული კინოცენტრის ინიციატივით და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, 15 ივლისიდან საქართველოს რეგიონებში დაიწყო ახალი პროექტი „ზაფხულის კინოსკოლა“. პროექტი ითვალისწინებდა კინოსპეციალისტების მივლინებას საქართველოს მხელად მისადგომ 30 სოფელში, სადაც სკოლების ბაზაზე 2 კვირის განმავლობაში ყოველდღიურად გაიმართა კინოჩვენებები და დისკუსიები. გარდა ამისა, კინოსპეციალისტებმა ბავშვებს გააცნეს ფილმის შექმნის სპეციფიკა და დაეხმარნენ მათ მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღებაში. ამასთანავე დაიგეგმა ცნობილი ქართველი რეჟისორების სტუმრობა ბავშვებთან. ზაზა ურუშაძე - ზეგანში, გიორგი ოვაშვილი - წნისში, ნანა ჯანელიძე - პანკისის ხეობაში, მარიამ ხაჭვანი - უშგულში გაემგზავრა. ლევან თუთბერიძემ კი საზღვრისპირა სოფელ დიცში თავისი ბოლო ნამუშევარის ჩვენება მოაწყო. ასე გახდნენ ადგილობრივი კინოსკოლელები ფილმის „მოირა“ პირველი მაცურებლები.



კინო რეგიონებში

ეროვნული კინოცენტრის და კულტურის სამინისტროს ინიციატივით, საქართველოს რეგიონებში ახალი კინოპროექტი დაიწყო. ამასთან დაკავშირებით, 22 ივლისს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ და ეროვნული კინოცენტრის რეგიონალური პროექტების დეპარტამენტის უფროსმა კონსტანტინე ჩლაიძემ კულტურის სამინისტროში პრესკონფერენცია გამართეს.

დიდი პაუზის შემდეგ პირველად, 23 ივლისისდან 10 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოს 18 რეგიონში წარმატებული თანამედროვე ქართული ფილმების ჩვენებები შედგა. ყოველ ხუთშაბათს ეკრანზე გამოდიოდა ახალი ქართული ფილმი, რომლის ნახვის საშუალებაც მაყურებელს ერთი კვირის განმავლობაში ჰქონდა.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პროექტის ფარგლებში ნაჩვენები იყო შემდეგი ფილმები:

- „კრედიტის ლიმიტი“ - რეჟ. სალომე/ნუცა ალექსი-მესხიშვილი
- „მანდარინები“ - რეჟ. ზაზა ურუშაძე
- „გრძელი ნათელი დღეები“ - რეჟ. ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროსი
- „მე ვარ ბესო“ - რეჟ. ლაშა ცქვიტინიძე
- „პატარძლები“ - რეჟ. თინათინ ყაჯრიშვილი
- „სიმინდის კუნძული“ - რეჟ. გიორგი ოვაშვილი
- „შემთხვევითი პაემნები“ - რეჟ. ლევან კოდუაშვილი
- „ყარასტანში დაკარგული“ - რეჟ. ბენ ჰოპკინსი



კინო სკოლაში

ეროვნული კინოცენტრის პროექტ - კინო სკოლაში ფარგლებში პანკისის ხეობაში ფილმს გადაიღებენ. მარიამ გულბიანი პანკისის ხეობაში ფილმის გადაღებას იწყებს. ფილმი ორი გოგონას ისტორიას მოგვითხრობს. იიმა და ევა მეგობრები და პანკისის ხეობის სოფელ ყვარელწყალში ცხოვრობენ. იიმა 13 წლის არის, ევა - 12-ის. ქისტი გოგონების მამები ერთი წლის წინ საზღვარგარეთ გაემგზავრნენ. მას შემდეგ გოგონებს იშვიათად უკავშირდებიან. გოგონებისთვის ერთადერთი თავისუფალი სივრცე კინოგაკვეთილებაა, რომელიც პროექტის „კინო სკოლაში“ ფარგლებში მიმდინარეობს.

„კინო სკოლაში“ ეროვნული კინოცენტრის პროექტია, რომელიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სკოლის მოსწავლეთათვის კინოჩვენებებისა და დისკუსიების მოწყობას ითვალისწინებს. ფილმის რეჟისორი მარიამ გულბიანიც ერთ-ერთი კინომისიონერია, რომელიც აქტიურად არის პროექტში ჩართული და პანკისის ხეობაში ახალი თაობის კინოგანათლებელზე ზრუნავს. ასევე, პროექტის აქტიური მხარდამჭერია კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო. მარიამ გულბიანის ფილმს „სანამ მამა დაბრუნდება“ ერქმევა.



პირველი ქართულ-ფრანგული ანიმაციური კოპროდუქცია

ახალგაზრდა ქართველი ანიმატორის, ანა ჩუბინიძის პროექტი „ჯიბის კაცი“ პირველი მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი იქნება, რომელზეც საქართველო და საფრანგეთი ერთობლივად იმუშავენ. სულ ცოტა ხნის წინ ანამ პროექტი ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალზე წარადგინა, სადაც „ფოლიმაჟმა“ (ფრანგულმა ანიმაციურმა სტუდიამ) სწორედ ანას ნამუშევარზე შეაჩერა არჩევანი და ახალგაზრდა ანიმატორი სცენარზე და კადრირებაზე სამუშაოდ საფრანგეთში მიიწვია. „ჯიბის კაცის“ წარმოება 1 წლის მანძილზე გაგრძელდება. აქედან პირველი 6 თვე ფილმზე მუშაობა დაგეგმილია საქართველოში, შემდეგი 6 თვე კი საფრანგეთში.

„ჯიბის კაცი“ ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოცხადებული ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების კონკურსის გამარჯვებული პროექტია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც კინოცენტრმა კონკურსი ანსის საერთაშორისო კინოფესტივალთან ერთად გამოაცხადა. გამარჯვება და ანსიში გამგზავრების შესაძლებლობა ანა ჩუბინიძემ მოიპოვა.

კანის ფესტივალის ექსპერტები თბილისში

კანის ფესტივალის ექსპერტები ქართულ კინოპროექტებს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობისთვის მოამზადებენ. იზაბელ ფოვიე და ნიკოს პანაიოტოპულოსი თბილისს ესტუმრნენ და ეროვნული კინოცენტრის კონკურსის (21-ე საუკუნის ქართული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სცენარის შექმნის კონკურსი) გამარჯვებულებთან ერთად 20, 21 და 22 ივლისს სცენარის შექმნაზე იმუშავენ. 23 ივლისს კი ექსპერტები სხვა კინემატოგრაფისტებსაც შეხვდნენ და მათ გამოცდილება გაუზიარეს.



FILM PRINT-ის #16 ნომრის პრეზენტაცია

3 ივლისს, ფოლკვარდენში კინოტერმინების ლექსიკონისა და FILM PRINT-ის #16 ნომრის პრეზენტაცია გაიმართა.


კინოტერმინების ინგლისურ-ქართული ლექსიკონის ბეჭდვითი ვერსია კინოორგანიზაცია „ჯი-ეფ-ემ ფილმბრიჯმა“ კულტურისა და მეგლთა დაცვის სამინისტროსა და ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გამოსცა. ლექსიკონის ავტორებმა და მთავარმა რედაქტორებმა გიორგი ხარებავამ და ნოშრევან ჩხაიძემ კინოტერმინების ლექსიკონი საზოგადოებას ეროვნული კინოცენტრის დირექტორთან, ნანა ჯანელიძესთან ერთად წარუდგინეს. გამოცემა გამოჩენილი კინოოპერატორის, გიორგი ბერიძის ხსოვნას მიეძღვნა.

რაც შეეხება FILM PRINT მე-16 ნომერს, მასში აქცენტი სოციალურ კინოსა და კინოგანათლების განვითარებაზე გაკეთდა. ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი. ამჯერად Film Print-ის ზაფხულის ნომრის რედაქტორები კინომცოდნეები - მანანა ლეკბორაშვილი და მაია ლევანიძე არიან.

ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

ქართული კინო საზღვარგარეთ

მსოფლიო პრემიერების კინოფესტივალებზე საქართველოს წარმატებული დებიუტის შემდეგ, ფილიპინებზე კიდევ 3 ქართული ფილმის ჩვენება შედგა. ქართული კინოს დღეების ფარგლებში ივლისის დასაწყისში უკვე აჩვენეს თინათინ ყაჯრიშვილის „პატარძლები“ და ლევან თუთბერიძის „ცხრა მთას იქით“. ამჟამად კი მანილას კინოთეატრში ნანა ჯანელიძის („ნეტავი იქ თეატრი არის?!“), გიორგი ოვაშვილის („სიმინდის კუნძული“) და რუსუდან ჭყონიას („გაილიმეთ“) ფილმების ჩვენება მოეწყო. კინოს დღეები ფილიპინებში ქართული საკონსულოს და ეროვნული კინოცენტრის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა.





საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისადმი მიძღვნილ კონკურსთან დაკავშირებით წინანდალში სემინარი გაიმართა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისადმი მიძღვნილ კონკურსთან დაკავშირებით წინანდალში სემინარი გაიმართა.

სემინარს რეჟისორები, პროდიუსერები და სცენარისტები ესწრებოდნენ. მოდერატორები ეროვნული კინოცენტრის და წიგნის ეროვნული ცენტრის დირექტორები - ნანა ჯანელიძე და დეა მეტრეველი იყვნენ, მენტორის სტატუსით კი სემინარს ზაზა აბაშიძე (ისტორიკოსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი), ივანე ამირხანაშვილი (ფილოლოგი დოქტორი, კრიტიკოსი), ლაშა ბაქრაძე (ფილოსოფიის დოქტორი, ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი) და ზურა კიკნაძე (პროფესორი, ორიენტალისტი, ასირიოლოგი, ბიბლიესტი, ფოლკლორისტი და ლიტერატორი) გაუძღვნენ.

კონკურსი ეროვნული კინოცენტრისა და წიგნის ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტია, რომლის მიზანია, შეირჩეს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 5 სცენარი, რომელთა განვითარებისთვის კინოცენტრი გამოყოფს საკონკურსო ფონდს 75 000 ლარის ოდენობით.



უცხოელი ექსპერტები ეროვნული კინოცენტრის კონკურსში გამარჯვებული პროექტების ავტორებთან ერთად მუშაობას განაგრძობენ

უცხოელი ექსპერტები ეროვნული კინოცენტრის კონკურსში გამარჯვებული პროექტების ავტორებთან ერთად მუშაობას განაგრძობენ. პირველ ეტაპზე, ივლისის თვეში ჩამოსულმა ექსპერტებმა ჩაატარეს 4 დღიანი ვორქშოფი, ხოლო ვორქშოფის მეორე ეტაპი გაგრძელდა სექტემბრის თვეში, რომელიც მოიცავდა მონაწილეების სკაიპ-სესიას ტრენერებთან, სცენარების სამუშაო ვერსიების წარდგენას და რეკომენდაციების მიღებას.

ეროვნული კინოცენტრის კონკურსში „21-ე საუკუნის ქართული ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია“ ხუთმა პროექტმა გაიმარჯვა, ახლა კი მათ ავტორებს სცენარის განვითარებაში უცხოელი ექსპერტები ეხმარებიან.

გამარჯვებული პროექტებია:

1. „მოქალაქე წმინდანი“- თინათინ ყაჯრიშვილი, ლაშა ხალვაში
2. „დიდი ძუ დათვი“ - ლალი კიკნაველიზე, მიხო მოსულიშვილი
3. „უღელტეხილი“ - გიორგი ოვაშვილი, გურამ ოდიშარია
4. „კავკასიური ფოქს-ტროტი“ - ირაკლი შავლიაშვილი, ზურა ქარუმიძე, ქეთი დანელია
5. „ასინქრონი“ - რუსუდან ჭყონია, ეკა ტოგონიძე

www.gnfc.ge



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge